

სს „სილქნეტი“
2016 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia
4, ბესიკის ქ,
თბილისი, 0108,
საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „სილქნეტის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ სს „სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

სს „სილქნეტი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 2

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ჯგუფის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით

სს „სილქნეტი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ჯგუფი“ შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას „ჯგუფის“ შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ „ჯგუფის“ აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი

შპს „KPMG Georgia“
6 მარტი, 2017 წელი



'000 ლარი	შენიშვნა	2016	2015
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	187,746	179,267
არამატერიალური აქტივები	11	16,483	13,755
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	10,827	15,278
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	19	804	1,473
სულ გრძელვადიანი აქტივები		215,860	209,773
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		8,226	9,301
გადახდილი მოგების გადასახადი		-	1,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	19,400	18,432
ანაზარი შეზღუდული სარგებლობის უფლებით	15	2,664	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	1,280	5,487
სულ მიმდინარე აქტივები		31,570	35,057
სულ აქტივები		247,430	244,830
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	68,172	68,172
გაუნაწილებელი მოგება		28,188	4,052
კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი		96,360	72,224
არაკონტროლირებადი წილი		165	(58)
სულ კაპიტალი		96,525	72,166
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	65,732	82,205
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	28,765	20,863
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	9	-	15,698
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		94,497	118,766
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	15	16,370	16,348
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	38,914	37,550
გადასახდელი მოგების გადასახადი		1,124	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		56,408	53,898
სულ ვალდებულებები		150,905	172,664
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		247,430	244,830

'000 ლარი	შენიშვნა	2016	2015
შემოსავალი	5	161,896	159,989
მიღებული მომსახურებები	6	(35,527)	(41,753)
პერსონალის ხარჯები	7	(30,798)	(37,936)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(36,318)	(32,702)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(28,929)	(24,403)
სხვა ხარჯები		(290)	(1,088)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		30,034	22,107
საპროცენტო შემოსავალი		340	13,163
საპროცენტო ხარჯი		(10,245)	(11,158)
სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(ზარალი)		868	(5,028)
მოგება დაბეგრამდე		20,997	19,084
მოგების გადასახადის შეღავათი / (ხარჯი)	9	14,216	(3,833)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		35,213	15,251
მოგება და სულ სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		35,328	15,835
არაკონტროლირებადი წილის მესაკუთრეებს		(115)	(584)
		35,213	15,251

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2017 წლის 6 მარტს:



დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი



ბაია ფშავლიშვილი
ფინანსური დირექტორი

'000 ლარი	კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი			არაკონტრო ლირებადი წილი	სულ კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი) / გაუნაწილებე ლი მოგება	სულ		
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	164,172	(4,390)	159,782	526	160,308
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	15,835	15,835	(584)	15,251
მესაკუთრეებთან პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები					
დივიდენდები (შენიშვნა 14(ბ))	-	(7,393)	(7,393)	-	(7,393)
სააქციო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 14(ა))	(96,000)	-	(96,000)	-	(96,000)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	68,172	4,052	72,224	(58)	72,166
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	68,172	4,052	72,224	(58)	72,166
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	35,328	35,328	(115)	35,213
მესაკუთრეებთან პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები					
დივიდენდები (შენიშვნა 14(ბ))	-	(10,352)	(10,352)	-	(10,352)
არაკონტროლირებადი წილის შეძენა (შენიშვნა 20 (ა) (iii))	-	(840)	(840)	338	(502)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	68,172	28,188	96,360	165	96,525

'000 ლარი	შენიშვნა	2016	2015
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
აბონენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		163,820	162,070
სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან და IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		28,190	33,674
თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები		(31,537)	(35,450)
გადახდილი ურთიერთჩართვის საფასური		(13,651)	(18,197)
მარაგების შესყიდვა		(4,438)	(2,904)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(22,881)	(26,775)
გადახდილი მოგების გადასახადი		(361)	(4,188)
ქსელის ტექნიკური მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები (შენიშვნა 8)		(10,393)	(4,112)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(31,949)	(34,898)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		76,800	69,220
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(36,075)	(26,694)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,551)	(8,813)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		1,182	2,012
შვილობილი კომპანიების შეძენა		-	(7,791)
ინვესტიცია ვადიან ანაბარში		(2,606)	-
სესხების გაცემა		(534)	(9,060)
გაცემული სესხების დაფარვა		26	8,897
მიღებული პროცენტი		13	29
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(47,545)	(41,420)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		23,116	38,269
სესხების დაფარვა		(37,168)	(44,474)
გადახდილი პროცენტი		(9,696)	(10,366)
გადახდილი დივიდენდები		(9,766)	(6,325)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(33,514)	(22,896)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე		52	(55)
წმინდა (კლება)/ მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში		(4,207)	4,849
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	5,487	638
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	1,280	5,487

1. საწარმოს შესახებ

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ჯგუფის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად „ჯგუფი“ მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის სივრცეში, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენის შესახებ. მომავალში ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“) და მე-20 შენიშვნაში განსაზღვრული მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფად“ მოხსენიებული, ან ცალკე „ჯგუფში შემავალი კომპანიები“) ფინანსურ ანგარიშგებას. „კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და ისინი დაფუძნებული და დარეგისტრირებული არიან საქართველოში.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: წინამძღვრიშვილის ქ. №95, თბილისი 0112, საქართველო.

„ჯგუფის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებები, ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის (IPTV) მომსახურებები და მიწისქვეშა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის იჯარა. „ჯგუფი“ საქმიანობას ახორციელებს როგორც ერთი საოპერაციო სეგმენტი.

2016 წლის სექტემბერში „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტომ „კომპანიას“ მიანიჭა „ემიტენტის დეფოლტის გრძელვადიანი რეიტინგი“ ‘B+’ სტაბილური პროგნოზით.

„კომპანიის“ 100% იანი წილის მფლობელია „Rhinestream Holdings Limited“ და საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი გიორგი რამიშვილი. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან აღწერილია მე-19 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (“ფასს”) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს „ჯგუფში შემავალი კომპანიების“ მოქმედ ვალუტას. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებულ ყველაზე კრიტიკული მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნაში 22 (ზ) (iii) - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ხელმძღვანელობა არ ფიქრობს, რომ არსებობს ისეთი დაშვებები ან შეფასებები, რომლებმაც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, შემდგომ ფინანსურ წელს გამოიწვიოს არსებითი შესწორებები.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

„ჯგუფის“ გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია, აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნებიან დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის

მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 17(ა) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.
- შენიშვნა 20(ა) - შექმნის მომენტისთვის შპს „ვიტელ ჯორჯიას“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2016	2015
ინტერნეტი	79,592	76,509
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	29,082	32,333
ინტერნეტ ტელევიზია	27,941	27,824
შემოსავალი ინფრასტრუქტურის იჯარიდან	10,883	9,769
ურთიერთჩართვის მომსახურება	10,073	8,567
უკაბელო სატელეფონო (CDMA*) მომსახურება	3,967	4,964
სხვა	358	23
სულ შემოსავალი	161,896	159,989

ურთიერთჩართვის მომსახურების გარდა სხვა ტარიფები სახელმწიფოს მხრიდან არ რეგულირდება.

* კოდირებული განყოფილებების მრავალჯერადი დაშვების ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც „ჯგუფი“ ახორციელებს უკაბელო სატელეფონო მომსახურებას.

6. შესყიდული მომსახურებები

'000 ლარი	2016	2015
ინტერნეტ ტელევიზიის არხების თვითღირებულება	8,296	9,658
ინტერნეტ არხების იჯარა	7,548	9,363
ურთიერთჩართვის ხარჯი	4,676	4,164
ინტერნეტის თვითღირებულება	3,762	4,916
პროგრამული უზრუნველყოფის და აპარატურის ტექნიკური მომსახურება	3,478	3,900
კომუნალური ხარჯები	3,245	2,972
სარეკლამო ხარჯები	2,947	3,692
პროფესიული მომსახურება	1,361	2,948
სხვა	214	140
სულ შესყიდული მომსახურებები	35,527	41,753

7. პერსონალის ხარჯები

'000 ლარი	2016	2015
ხელფასები	26,477	32,545
ბონუსები	3,679	4,494
თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევა	339	535
სხვა	303	362
სულ პერსონალის ხარჯები	30,798	37,936

2015 წელს ტექნიკური პერსონალის დიდმა ნაწილმა „ჯგუფი“ დატოვა (იხ. შენიშვნა 8).

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2016	2015
ქსელის მომსახურების ხარჯები	13,270	6,945
საოპერაციო იჯარის ხარჯები	3,885	3,532
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	2,078	1,896
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი (იხ. შენიშვნა 17(ბ)(ii))	1,503	1,710
საბანკო მოსაკრებლები და გადასახადები	1,319	613
რეგულირების საფასური	1,209	1,176
უსაფრთხოების ხარჯები	1,168	1,226
ოფისის ხარჯები	896	909
საქველმოქმედო ხარჯები	765	835
გადახდის აპარატების საკომისიო	693	706
სამივლინებო ხარჯები	687	903
მოხმარებული საწვავი და საპოხი მასალა	352	547
უსადენო მომსახურებების მოწყობილობების	252	1,702
თვითღირებულება		
ტრანსპორტირების ხარჯები	239	463
სხვა	613	1,240
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	28,929	24,403

ქსელის მომსახურების ხარჯების 84%-ს წარმოადგენს შპს „სერვის ნეტ“-ისგან მიღებული მომსახურება (4 თვე 2015 წელი: 62%). 2015 წლის აგვისტოში, „ჯგუფმა“ შპს „სერვის ნეტ“-ს გადასცა რამდენიმე ოპერაცია, მათ შორის ქსელის შეკეთება და აბონენტებთან დაკავშირებული სამონტაჟო სამუშაოები. შედეგად, დაახლოებით 1,260 ტექნიკურმა პერსონალმა დატოვა „კომპანია“.

შპს „სერვის ნეტ“-ის მიერ გაწეული მომსახურებები მათი ბუნებიდან გამომდინარე კაპიტალიზირდება ან აღიარდება ხარჯად. 2016 წელს სულ შპს „სერვის ნეტ“-ის მომსახურების ღირებულება, დამატებითი ღირებულების გარეშე, შეადგენს დაახლოებით 19 მილიონ ლარს (4 თვე 2015 წელი: 7 მილიონი ლარი).

სს „სილქნეტის“ და შპს „სერვის ნეტ“-ის აქციონერებს შორის ხელმოწერილ „აქციონერთა ხელშეკრულების“ მიხედვით, თუ შპს „სერვის ნეტი“ დაარღვევს მის რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულებას, „ჯგუფის“ აქციონერები ოფციის სახით იტოვებენ შპს „სერვის ნეტის“ გამოსყიდვის უფლებას.

9. საგადასახადო საკითხები

„ჯგუფის“ მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

'000 ლარი	2016	2015
მიმდინარე წელი	1,482	780
მიმდინარე მოგების გადასახადი	1,482	780
დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება	-	3,053
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში (გამოწვეული კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით)	(15,698)	-
გადავადებული საგადასახადო (შელავათი) / ხარჯი	(15,698)	3,053
მოგების გადასახადის (შელავათი) / ხარჯი წლის განმავლობაში	(14,216)	3,833

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2016		2015	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
მოგება დაბეგრამდე	20,997	100	19,084	100
გადასახადი არსებული საგადასახადო განაკვეთით	3,150	15	2,863	15
საგადასახადო და ფასს-ის ბაზებს შორის სხვაობის ეფექტი შემოსავლებსა და ხარჯებზე	(1,668)	(8)	-	-
დაუბეგრავი ხარჯები	-	-	970	5
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში (გამოწვეული კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით)	(15,698)	(75)	-	-
	(14,216)	(68)	3,833	20

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება 15,698 ათასი ლარის ოდენობით გამოწვეულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებით. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა საანგარიშგებო თარიღამდე, „ჯგუფმა“ აღიარა ცვლილების სრული გავლენა ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერით მიმდინარე წლის მოგება ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ა) წლის განმავლობაში დროებითი სხვაობების მოძრაობა

'000 ლარი	1 იანვარი 2016	გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ცვლილება	31 დეკემბერი 2016
ძირითადი საშუალებები	(20,192)	20,192	
არამატერიალური აქტივები	439	(439)	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,197	(2,197)	
მშობელი საწარმოს სესხი	(78)	78	-
მარაგები	484	(484)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,167	(1,167)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	70	(70)	-
გადატანილი საგადასახადო ზარალი	215	(215)	-
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	4,572	(4,572)	-
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(20,270)	20,270	-
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(15,698)	15,698	-

'000 ლარი	1 იანვარი 2015	აღიარებული მოგება- ზარალში	საწარმოთა გაერთიანებების შედეგი	31 დეკემბერი 2015
ძირითადი საშუალებები	(20,717)	(437)	962	(20,192)
არამატერიალური აქტივები	151	288	-	439
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,874	323	-	2,197
მშობელი საწარმოს სესხი	281	(359)	-	(78)
მარაგები	601	(117)	-	484
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	535	632	-	1,167
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	70	-	-	70
საგადასახადო ზარალის გადატანა	-	(3,383)	3,598	215
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	3,512	(3,500)	4,560	4,572
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(20,717)	447	-	(20,270)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(17,205)	(3,053)	4,560	(15,698)

10. ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

'000 ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ავტომობილები	ავეჯი და აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება							
2015 წლის 1 იანვარს	21,854	106,617	126,195	3,851	12,650	2,245	273,412
დაგროვილი ცვეთა	-	(26,303)	(53,834)	(3,478)	(7,167)	-	(90,782)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 1 იანვარს	21,854	80,314	72,361	373	5,483	2,245	182,630
შესყიდვები	-	-	10,896	94	507	13,647	25,144
გასვლები	(345)	(1,516)	(5,939)	(247)	(1,067)	-	(9,114)
გადაცემა და სხვა	-	2,481	11,424	240	323	(15,844)	(1,376)
დაგროვილი ცვეთის გასვლა	-	315	3,870	145	809	-	5,139
დარიცხული ცვეთა	-	(2,188)	(19,441)	(494)	(2,657)	-	(24,780)
შესყიდვები							
საწარმოთა გაერთიანების შედეგად	-	-	1,590	19	15	-	1,624
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	21,509	79,406	74,761	130	3,413	48	179,267
თვითღირებულება							
2015 წლის 31 დეკემბერს	21,509	107,582	144,166	3,957	12,428	48	289,690
დაგროვილი ცვეთა	-	(28,176)	(69,405)	(3,827)	(9,015)	-	(110,423)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	21,509	79,406	74,761	130	3,413	48	179,267
შესყიდვები	-	-	19,362	-	956	19,091	39,409
გასვლები	(311)	(1,166)	(7,845)	(61)	(687)	-	(10,070)
გადაცემა და სხვა	-	2,865	13,767	554	425	(18,528)	(917)
დაგროვილი ცვეთის გასვლა	-	447	7,415	130	601	-	8,593
დარიცხული ცვეთა	-	(2,341)	(24,858)	(134)	(1,203)	-	(28,536)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	21,198	79,211	82,602	619	3,505	611	187,746
თვითღირებულება							
2016 წლის 31 დეკემბერს	21,198	109,281	169,450	4,450	13,122	611	318,112
დაგროვილი ცვეთა	-	(30,070)	(86,848)	(3,831)	(9,617)	-	(130,366)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	21,198	79,211	82,602	619	3,505	611	187,746

(ა) უზრუნველყოფა

2016 წლის 31 დეკემბერს საბანკო სესხები (იხ. შენიშვნა 15) უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 186,990 ათასი ლარი (2015 წელს: 177,306 ათასი ლარი).

(ბ) სხვა გრძელვადიანი აქტივები

2016 წლის 31 დეკემბერს სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს 8,897 ათასი ლარის ოდენობით და ავანსებს გრძელვადიანი აქტივებისთვის 1,808 ათასი ლარის ოდენობით (2015 წელს დაუმონტაჟებელი მოწყობილობები - 13,771 ათასი ლარი, ხოლო ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის - 1,403 ათასი ლარი).

(გ) ცვლილებები დაშვებებში

2016 წელს „ჯგუფმა“ მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა CDMA ტექნოლოგიის ბაზარი ამ ტექნოლოგიის კლიენტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების გამო. შედეგად, CDMA-ს მხარდამჭერი ტექნოლოგიის აქტივების ნარჩენი მომსახურების ვადები შემცირდა ისეთი ფორმით, რომ ამგვარი აქტივები სრულად გაცვეთილი იყოს 2017 წლის ივლისის თვისთვის, როდესაც „ჯგუფი“ გეგმავს CDMA ლიცენზიის დატოვებას. ამ ცვლილების გავლენა ცვეთის ხარჯზე მიმდინარე და მომავალი პერიოდებისთვის შეადგენს შემდეგს:

'000 ლარი	2016	2017
მატება ცვეთის ხარჯში	1,612	336

11. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	კომპიუტერული ტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	ტელეკომის საოპერაციო ლიცენზიები	სამაუწყებლო უფლებები	გუდვილი (შენიშვნა 20(ა))	სულ
თვითღირებულება 2015 წლის 1 იანვარს	8,777	19,574	6,423	2,685	37,459
დაგროვილი ცვეთა	(6,262)	(14,389)	(2,552)	-	(23,203)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 1 იანვარს	2,515	5,185	3,871	2,685	14,256
შესყიდვები საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში	-	661	205	209	1,075
შესყიდვები	2,006	848	3,492	-	6,346
ცვეთის დარიცხვა	(1,097)	(3,159)	(3,666)	-	(7,922)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	3,424	3,535	3,902	2,894	13,755
თვითღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	10,783	21,083	10,120	2,894	44,880
დაგროვილი ცვეთა	(7,359)	(17,548)	(6,218)	-	(31,125)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	3,424	3,535	3,902	2,894	13,755
შესყიდვები	1,664	3,177	5,797	-	10,638
ცვეთის დარიცხვა	(901)	(3,621)	(3,260)	-	(7,782)
გასვლები	-	(4,858)	(4,260)	-	(9,118)
ცვეთის გასვლა	-	4,858	4,132	-	8,990
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	4,187	3,091	6,311	2,894	16,483
თვითღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	12,447	19,402	11,657	2,894	46,400
დაგროვილი ცვეთა	(8,260)	(16,311)	(5,346)	-	(29,917)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	4,187	3,091	6,311	2,894	16,483

ქვემოთ მოცემულია 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველაზე მნიშვნელოვანი ლიცენზიების წმინდა საბალანსო ღირებულებები და მოქმედების ვადები:

ლიცენზიის ნომერი და ტექნოლოგია	(RF) სპექტრი	მოქმედების ვადა (-მდე)	2016 წლის 31 დეკემბერი '000 ლარი	2015 წლის 31 დეკემბერი '000 ლარი
F98(LTE)	2,300 MHz - 2,350 MHz	აგვისტო, 2026	1,160	-
F48 (LTE*)	2,299 MHz – 2,350 MHz	მაისი, 2026	579	358
F53 (LTE)	2,300 MHz - 2,350 MHz	იანვარი, 2017	23	303
			1,762	661

* გრძელვადიანი ევოლუციის ტექნოლოგია.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2016	2015
მოთხოვნები აბონენტებისგან	12,937	11,346
მოთხოვნები სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან	1,639	1,944
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,473	2,618
სულ სავაჭრო მოთხოვნები	16,049	15,908
ავანსად გადახდილი ხარჯები	3,351	2,182
ავანსად გადახდილი გადასახადები	-	342
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,400	18,432

საკრედიტო და სავალუტო რისკების ზეგავლენა „ჯგუფზე“, ასევე მგრძობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, განხილულია მე-17 შენიშვნაში.

13. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

'000 ლარი	2016	2015
ბანკში არსებული ნაშთები	1,036	4,017
ფული გზაში	244	162
ფულადი სახსრები შეზღუდული გამოყენების უფლებით	-	1,308
სულ ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	1,280	5,487

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო ბანკში არსებული ნაშთებით, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენდა 1,308 ათას ლარს.

საკრედიტო და სავალუტო რისკების ზეგავლენა „ჯგუფზე“, ასევე მგრძობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, განხილულია მე-17 შენიშვნაში.

14. კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ გამოცხადებული დივიდენდები და ასევე მათ აქვთ „კომპანიის“ კრებებზე თითოეულ აქციაზე ერთი ხმის უფლება. 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხები (იხ. შენიშვნა 15) უზრუნველყოფილი იყო „კომპანიის“ სააქციო კაპიტალით.

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2016	2015
გამოშვებული 1 იანვარს	68,171,901	164,171,901
გაქვითვა დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ სესხებთან (იხ. შენიშვნა 19 (გ))	-	(96,000,000)
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	68,171,901	68,171,901
გამოცხადებული აქციები - ნომინალური ღირებულება	1	1

2015 წელს აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება “კომპანიის” სააქციო კაპიტალის 96,000 ათასი ლარით შემცირების შესახებ. კაპიტალის შემცირებით გამოწვეული გადასახდელი თანხა გაიქვითა “კომპანიის” მშობელი საწარმოსგან მისაღებ სესხებთან (იხ. შენიშვნა 19 (გ)).

(ბ) დივიდენდები

2016 წელს „კომპანიამ“ გამოაცხადა დივიდენდები 10,352 ათასი ლარის ოდენობით (2015 წელს: 7,393 ათასი ლარი). ეს წარმოადგენდა დივიდენდებს აქციაზე 0.15 ლარის ოდენობით (2015 წელს: 0.05 ლარი აქციაზე).

2016 წლის 15 ივლისს შეიცვალა „კომპანიის“ წესდება. დაწესდა შეზღუდვები დივიდენდების გაცემაზე. ახალი წესდების თანახმად, ნებისმიერი ფინანსური წლის განმავლობაში გამოცხადებული მთლიანი დივიდენდების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორი წინამორბედი ფინანსური წლის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 70%-ს გამოკლებული იმავე ორი პერიოდის განმავლობაში გადახდილი დივიდენდების ჯამურ თანხას.

(გ) კაპიტალის მართვა

„ჯგუფს“ არ აქვს კაპიტალის მართვის დამტკიცებული პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს „ჯგუფის“ საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, „ჯგუფის“ შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებსაც „ჯგუფი“ ძირითადად საოპერაციო ფულადი ნაკადებით, გრძელვადიანი სესხების და კრედიტების საშუალებით აფინანსებს. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით „ჯგუფი“ ორიენტირებულია მდგრად ზრდაზე.

„კომპანიას“ და მის შვილობილებს არ აქვთ გარეშე პირისგან დაწესებული რაიმე შეზღუდვა კაპიტალზე.

15. სესხები

„ჯგუფის“ სესხები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია “ჯგუფზე” საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედების შესახებ, წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

'000 ლარი	2016	2015
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები- გრძელვადიანი	65,732	82,205
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები- მიმდინარე	16,370	16,348
	82,102	98,553

(ა) სესხების პირობები

სესხების ვადები და პირობები:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2016	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	USD	5-6%	2017	1,589	1,589
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	USD	10.5%	2021	2,534	2,534
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	12%	2021	77,979	77,979
სულ სესხები				82,102	82,102

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2015	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	14-15%	2016	2,203	2,203
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	13-14%	2021	5,901	5,901
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	USD	10-11%	2021	90,449	90,449
სულ სესხები				98,553	98,553

2016 წლის სექტემბერში „ჯგუფმა“ აშშ დოლარში დენომინირებული სესხების უდიდესი ნაწილი დააკონვერტირა ქართულ ლარში.

2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის სესხები უზრუნველყოფილია „კომპანიის“ სააქციო კაპიტალით, მარაგებით, ძირითადი საშუალებებითა და შეზღუდული უფლების ანაზრით. შეზღუდული უფლების მქონე ანაზრის თანხა შეადგენს 2,664 ათას ლარს, ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 3.8% და ვადა გასდის 2017 წლის აპრილში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2016		2015	
	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე
დავალიანება მომწოდებლების მიმართ	-	14,406	-	13,403
დავალიანება გრძელვადიანი აქტივებისთვის	-	7,774	-	9,367
დავალიანება ლიცენზიებისთვის	1,557	5,524	1,479	2,427
დავალიანება სხვა ოპერატორების მიმართ	-	1,617	-	1,528
საგადასახადო დავალიანება (გარდა მოგების გადასახადისა)	-	1,219	-	906
IRU ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული საავანსო თანხები	25,525	3,457	17,401	2,102
აბონენტებისგან მიღებული საავანსო თანხები	-	1,672	-	1,345
გადავადებული შემოსავალი	1,683	2,395	1,983	2,788
გადასახდელი დივიდენდები	-	123	-	1,068
დავალიანება თანამშრომლების მიმართ	-	265	-	1,776
სხვა დავალიანებები	-	462	-	840
სულ სავაჭრო და სხვა დავალიანებები	28,765	38,914	20,863	37,550

„ჯგუფის“ დამოკიდებულება ლიკვიდურობისა და სავალუტო რისკებისადმი, ასევე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობელობის ანალიზი განხილულია მე-17 შენიშვნაში.

17. სამართლიანი ღირებულება და ფინანსური რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება შეფასების თარიღისთვის ჩვეულებრივი ოპერაციისას აქტივის გაყიდვით ან ვალდებულების გადახდით ბაზრის მონაწილეებს შორის.

თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი თანხა აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვის ან ვალდებულებების გადაცემის შედეგად.

შეფასების ტექნიკების გამოყენებით „ჯგუფმა“ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს იმ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს აქტივების გაყიდვით ან ვალდებულებათა გადაცემით განსაზღვრულ ფასს ჩვეულებრივ ოპერაციებში ბაზრის მონაწილეებს შორის, შეფასების დღისთვის. გამოყენებული შეფასების ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხის და საპროცენტო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებით, საანგარიშგებო დღეს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „ჯგუფის“ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია საბალანსო ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო „ჯგუფი“ შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკების მართვის სისტემა

ხელმძღვანელობას სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე და ის პასუხს აგებს „ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს „ჯგუფის“ წინაშე არსებული რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და „ჯგუფის“ საქმიანობაში. „ჯგუფი“ თავისი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

აქციონერი მეთვალყურეობს „ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას „ჯგუფის“ წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „ჯგუფის“ სავაჭრო მოთხოვნებიდან და ბანკში არსებული ნაშთებიდან.

აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა და არაღიარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა საანგარიშგებო დღისთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	2016	2015
სავაჭრო მოთხოვნები	16,049	15,908
სესხები დაკავშირებული მხარეების მიმართ	804	1,473
ანაბარი შეზღუდული სარგებლობის უფლებით	2,664	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	1,280	5,487
აღიარებული ფინანსური აქტივები	20,797	22,868
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები (შენიშვნა 18(გ))	35,000	20,022

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

„ჯგუფის“ საკრედიტო რისკზე გავლენა აქვს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. „ჯგუფის“ კლიენტთა ბაზის დემოგრაფიულ მონაცემებს, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის რისკებს, რომლებშიც მოღვაწეობენ კლიენტები, ნაკლები გავლენა აქვთ საკრედიტო რისკზე.

საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება კლიენტთა კრედიტუნარიანობის შეფასებით, „ჯგუფის“ მიერ სტანდარტული გადახდისა და მომსახურების პირობების შეთავაზებამდე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად არ მოითხოვება გირაო.

კლიენტთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, კლიენტი ფიზიკური პირია თუ იურიდიული პირი, ის საბითუმო მომსახურებას ეწევა თუ საცალოს, არის თუ არა ის საბოლოო მომხმარებელი, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობის სფერო და წინა ფინანსური სირთულეების ფაქტები.

„ჯგუფი“ განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვებს, რომლებიც წარმოადგენენ მის მიერ მიღებულ სავარაუდო ზარალს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. ამგვარი რეზერვების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კოლექტიური ზარალის კომპონენტი. „ჯგუფის“ სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მომდინარეობს ადგილობრივი საცალო მომხმარებლისგან. „ჯგუფს“ არ აქვს მომხმარებელთა მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

გაუფასურების ზარალი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობა ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის იყო შემდეგი:

2016

'000 ლარი	მთლიანი	გაუფასურება	წმინდა
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	15,455	-	15,455
ვადაგადაცილებული 30 დღეზე ნაკლები ვადით	297	(89)	208
ვადაგადაცილებული 30-90 დღით	426	(188)	238
ვადაგადაცილებული 91-180 დღით	452	(329)	123
ვადაგადაცილებული 181-360 დღით	517	(492)	25
ვადაგადაცილებული 365 დღეზე მეტი დროით	11,496	(11,496)	-
სულ	28,643	(12,594)	16,049

2015

'000 ლარი	მთლიანი	გაუფასურება	წმინდა
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	15,255	-	15,255
ვადაგადაცილებული 30 დღეზე ნაკლები ვადით	308	(92)	216
ვადაგადაცილებული 30-90 დღით	458	(206)	252
ვადაგადაცილებული 91-180 დღით	572	(418)	154
ვადაგადაცილებული 181-360 დღით	681	(650)	31
ვადაგადაცილებული 365 დღეზე მეტი დროით	12,761	(12,761)	-
სულ	30,035	(14,127)	15,908

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებზე წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2016	2015
1 იანვარს	(14,127)	(12,417)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,503)	(1,710)
უიმედოს ვალების ჩამოწერა წლის განმავლობაში (შენიშვნა 19)	3,036	-
31 დეკემბერს	(12,594)	(14,127)

საექვო სესხების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის ჩამოსაწერად, სანამ „ჯგუფი“ არ მიიღებს მტკიცებულებას იმაზე, რომ შეუძლებელია მოთხოვნის თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნა მიიჩნევა ამოუღებლად და ის ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის ანგარიშიდან.

გადაუხდელობის ისტორიულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, „ჯგუფს“ მიაჩნია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული ანარიცხებისა, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით არ არის საჭირო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ნაშთები საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები, ასევე შეზღუდული ანაბარი, ძირითადად ქართულ ბანკებშია განთავსებული, რომლებსაც საკრედიტო რეიტინგის კვლევის სააგენტოს, „Fitch-ის“, მიერ მინიჭებული აქვთ B შეფასება. „ჯგუფი“ არ მოელის მისი რომელიმე კონტრაგენტისგან ვალდებულების შეუსრულებლობას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც „ჯგუფს“ ექმნება სირთულებები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. „ჯგუფში“ ლიკვიდურობის მართვა ხორციელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან „ჯგუფის“ რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

ამ მიზნით, „ჯგუფი“ ადგენს ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ მოკლევადიან პროგნოზს საოპერაციო საქმიანობის ხასიათით განსაზღვრულ ფინანსურ საჭიროებებზე დაყრდნობით. როგორც წესი, ეს საჭიროებები განისაზღვრება წლიურ და ერთთვიან საფუძველზე. მისი ფინანსური საჭიროებების მართვის მიზნით, „ჯგუფი“ მომხმარებლებისგან ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს „ჯგუფს“ საკმარისი ფულადი სახსრებით მისი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. „ჯგუფი“ უზრუნველყოფს, რომ მას მოთხოვნისთანავე მუდმივად ჰქონდეს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების შესაბამისი სათანადო რაოდენობის ფულადი სახსრები 30-დღიანი პერიოდისთვის, ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს პოტენციურ, ექსტრემალური ვითარებებით მიყენებულ დარტყმებს, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს სტიქიურ კატასტროფებს.

ამასთან, „ჯგუფს“ აქვს გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი 264 მილიონი ლარის ოდენობით სს „საქართველოს ბანკში“. სამართლებრივად, ხაზის ათვისებას ცალკე შეთანხმება სჭირდება ბანკსა და „კომპანიას“ შორის.

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო დღისთვის დარჩენილი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია მთლიანად (ბრუტო) და დაქვითვის გარეშე; მოიცავენ სავარაუდო საპროცენტო გადასახადებს და გამორიცხავენ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებების გავლენას.

2016 წლის 31 დეკემბერი

'000 ლარი	საბალანსო		3 თვეზე			5 წელზე	
	ლირებულება	სულ	მოთხოვნამდე	ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ბანკის უზრუნველყოფილი სესხები	82,102	105,482	-	7,430	17,525	80,527	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,947	32,947	14,203	4,395	12,792	1,557	-
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	35,000	35,000	35,000	-	-	-	-
	150,049	173,429	49,203	11,825	30,317	82,084	-

2015 წლის 31 დეკემბერი

'000 ლარი	საბალანსო		მოთხოვნამდე	3 თვეზე		1-5 წელი	5 წელზე მეტი
	ლირებულება	სულ		ნაკლები	3-12 თვე		
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ბანკის უზრუნველყოფილი სესხები	98,553	129,183	-	8,052	17,546	93,577	10,008
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,954	31,954	11,383	4,828	14,264	1,479	-
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	20,022	20,022	20,022	-	-	-	-
	150,529	181,159	31,405	12,880	31,810	95,056	10,008

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია რისკის გონივრულ ფარგლებში შენარჩუნება ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

„ჯგუფი“ არ იყენებს საბუღალტრო ჰეჯირების მეთოდს მოგება-ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი

2016 წლის სექტემბერში „ჯგუფმა“ მოახდინა აშშ დოლარში დენომინირებული სესხების ძირითადი ნაწილის კონვერტაცია ქართულ ლარში (იხ. შენიშვნა 15(ა). 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე ძირითადად აშშ დოლარში განხორციელებულ შესყიდვებს უკავშირდება.

„ჯგუფზე“ სავალუტო რისკები მოქმედებს შემდეგნაირად:

'000 ლარი	დენომინირებული აშშ	დენომინირებული აშშ
	დოლარში 2016	დოლარში 2015
ნაშთები ბანკში	229	4,805
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,097	2,201
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	804	1,473
ანაბარი შეზღუდული სარგებლობის უფლებები	2,664	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(16,466)	(20,924)
სესხები და კრედიტები	(4,123)	(90,449)
წმინდა გავლენა	(15,795)	(102,894)

წლის განმავლობაში არსებული გაცვლითი კურსებია:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღით არსებული კურსი	
	2016	2015	2016	2015
	აშშ დოლარი 1	2.3667	2.2702	2.6468

მგრძობელობის ანალიზი

გონივრულ ფარგლებში ლარის კურსის გამყარება/(შესუსტება), როგორც ქვემოთ არის მითითებული, აშშ დოლართან მიმართებაში 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენას მოახდენდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგება-ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები თანხებით. ვალუტის მოძრაობას არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია, ასევე უგულებელყოფილია საპროგნოზო გაყიდვებისა და შესყიდვების გავლენა.

'000 ლარი	გამყარება		შესუსტება	
	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)
2016 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	1,580	-	(1,580)
2015 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (20%-იანი მოძრაობა)	-	20,579	-	(20,579)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთის რისკზე, რადგან მისი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულების მგრძობელობის ანალიზი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

„ჯგუფი“ არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს კაპიტალსა ან მოგება-ზარალზე.

18. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით. ასევე ხშირია აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია, რაც ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს დამრღვევს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „ჯგუფის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(გ) საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

2016 წელს „ჯგუფმა“ მოახდინა მშობელი კომპანიის დავალიანების უზრუნველყოფა სს „საქართველოს ბანკთან“ 35,000 ათასი ლარის ოდენობით (2015 წელს: 20,022 ათასი ლარის უზრუნველყოფა დაკავშირებული მხარეების სასარგებლოდ).

თანხა წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომელიც შეიძლება აღიარებულ იქნას, თუ სახელშეკრულებო მხარეები ვერ მოახერხებენ სახელშეკრულებო ვალდებულების სრულად შესრულებას. ზემოთ განსაზღვრული სახელშეკრულებო ვალდებულების ჩაფარვა არ არის აუცილებელი მოხდეს „ჯგუფიდან“ ფულადი სახსრების გადინების გზით, ვალდებულებას შესაძლოა გაუვიდეს ვადა ან შეწყდეს „ჯგუფის“ მხრიდან დაფინანსების საჭიროების გარეშე.

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელშეკრულების გრაფიკის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა უმნიშვნელოა. შესაბამისად, გარიგებებისთვის არ არის აღიარებული რაიმე ანარიცხი.

19. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

„კომპანიის“ პირდაპირი და საბოლოო მშობელი საწარმოა „Rhinestream Holdings Limited“. „კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი გიორგი რამიშვილი. „კომპანიის“ მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(ბ) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობას წლის მანძილზე მიღებული აქვს შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2016	2015
ხელფასები	1,982	2,071
ბონუსები	3,093	1,851
	5,075	3,922

(გ) დაკავშირებული მხარეების სხვა ოპერაციები

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დავალიანების სალდო 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	
	2016	2015	2016	2015
გაცემული სესხები:				
მშობელი კომპანია	-	7,002		1,473
სხვა დაკავშირებული მხარე	534	-	804	-
პროფესიული მომსახურება				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	296	543	-	(60)
მოხმარებული საწვავი და საპოხი მასალა				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	297	642	(34)	(25)

2016 წელს, 1,530 ათასი ლარის ოდენობით გადასახდელი დივიდენდი გაიქვითა მშობელი კომპანიის სასესხო მოთხოვნებთან. 2015 წელს აქციონერებისთვის გადასახდელი 96,000 ათასი ლარი (იხ. შენიშვნა 14(ა)) გაიქვითა სასესხო დავალიანებასთან. სხვა დაკავშირებული მხარისგან

მისაღები სესხი გადასახდელია 2018 წელს და ატარებს 12% საპროცენტო განაკვეთს. „ჯგუფის“ დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკების მიმართ განხილულია მე-17 შენიშვნაში.

2016 წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი 110 ათასი ლარის (2015 წელს 13,000 ათასი ლარი) ოდენობით აღიარებულ იქნა მოგებასა და ზარალში დაკავშირებულ მხარეებთან დადებული გარიგებების ფარგლებში.

2016 წლის განმავლობაში, „ჯგუფმა“ მისი სრულად დარეზერვებული სავაჭრო დავალიანებები 3,036 ათასი ლარის ოდენობით მიჰყიდა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირს 27 ათას ლარად (2015 წელს: ნული).

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

2016 წელს „ჯგუფმა“ მოახდინა დაკავშირებული მხარეების დავალიანების უზრუნველყოფა 35,000 ათასი ლარის ოდენობით (2015 წელს: 20,022 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 18(გ)).

20. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	2016 მფლობელობა/ ხმის უფლება	2015 მფლობელობა/ ხმის უფლება
შპს „ქარვა“	საქართველო	51%	51%
შპს „WiMax Georgia“	საქართველო	100%	100%
შპს „საქართველოს მედია ქსელი“	საქართველო	-	85%
შპს „Novus“	საქართველო	100%	100%
„NG Georgia“	საქართველო	100%	100%

(ა) საწარმოთა მნიშვნელოვანი გაერთიანებები

2014 წლის 30 ივნისს „ჯგუფმა“ შეიძინა „ჯგუფის“ ინტერნეტ ტელევიზიის არხების ერთ-ერთი მფლობელის, შპს „საქართველოს მედია ქსელის“ 85%-იანი წილი 4,575 ათას ლარად. „ჯგუფს“ არ გაუწევია შეძენასთან დაკავშირებული რაიმე სხვა ხარჯი. შესყიდვა მოხდა ინტერნეტ ტელევიზიის არხების მიწოდებასა და განვითარებაზე კონტროლის მოპოვების და ვერტიკალური ინტეგრაციის გზით ხარჯების შემცირების მიზნით.

2015 წლის 27 ნოემბერს „ჯგუფმა“ შეიძინა, საქართველოს რეგიონებში უკაბელო ინტერნეტ მიმწოდებლის, შპს „ვიტელ ჯორჯიას“ 100%-იანი წილი 6,451 ათას ლარად. 2015 წლის 4 დეკემბერს შპს „ვიტელ ჯორჯია“ შეერწყა „კომპანიას“. „ჯგუფს“ არ გაუწევია შეძენასთან დაკავშირებული რაიმე სხვა ხარჯი. საწარმოთა გაერთიანების მიზანს წარმოადგენდა შპს „ვიტელ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული რადიო სიხშირული სპექტრის ლიცენზიებზე კონტროლის მოპოვება.

(i) შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღის მდგომარეობით:

'000 ლარი	ნასყიდობის სამართლიანი ღირებულება	
	შპს	
	„საქართველოს მედია ქსელი“	შპს „ვიტელ ჯორჯია“
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,149	1,624
არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,055	866
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	4,560
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	577	68
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60	10
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(136)	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები	(192)	(70)
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	(2,290)	(816)
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	2,223	6,242

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

შეძენილი მნიშვნელოვანი აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად გამოყენებულ იქნა შეფასების შემდეგი ტექნიკები:

შეძენილი აქტივები	შეფასების ტექნიკა
ძირითადი საშუალებები	საბაზრო შედარების ტექნიკა და თვითღირებულების ტექნიკა: შეფასების მოდელი გულისხმობს ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ანალოგიური აქტივის საბაზრო ფასის და ზოგ შემთხვევაში, აქტივის ჩანაცვლების ნარჩენი ღირებულების გამოყენებას. ჩანაცვლების ნარჩენი ღირებულება ითვალისწინებს აქტივის ფიზიკური, ისევე როგორც ფუნქციური და ეკონომიკური მოძველების ეფექტებს.
არამატერიალური აქტივები	როიალთის გადახდისგან განთავისუფლების მეთოდი და მრავალ-პერიოდიანი დამატებითი სარგებლის მეთოდი: როიალთის გადახდისგან განთავისუფლების მეთოდი გულისხმობს პატენტების და სავაჭრო ნიშნების საკუთრებაში არსებობის გამო თავიდან აცილებული სავარაუდო გადახდების დისკონტირებას. მრავალ-პერიოდიანი დამატებითი სარგებლის მეთოდი გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული მოსალოდნელი წმინდა ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულების განსაზღვრას.

შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასება მესამე დონის სამართლიან ღირებულებას განეკუთვნება და დათვლილია ზემოთ მოცემული შეფასების ტექნიკებში გამოყენებული მონაცემების საფუძველზე.

(ii) გუდვილი

გუდვილი წარმოიშვა შემდეგნაირად:

’000 ლარი	შპს	
	„საქართველოს მედია ქსელი“	შპს „ვიტელ ჯორჯია“
სულ გაცემული ანაზღაურება	4,575	6,451
არაკონტროლირებადი წილი, შეძენილ აქტივებსა და ვალდებულებებში პროპორციულ წილზე დაყრდნობით	333	-
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართიანი ღირებულება	(2,223)	(6,242)
გუდვილი	2,685	209

შპს „ვიტელ ჯორჯიას“ ნასყიდობასთან დაკავშირებული გუდვილი ძირითადად ეხება „ჯგუფის“ პოტენციურ უნარს გააგრძელოს შპს „ვიტელ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული რადიო სიხშირული სპექტრის ლიცენზიების ვადა. შპს „საქართველოს მედია ქსელის“ ნასყიდობასთან დაკავშირებული გუდვილი ძირითადად ეხება ხარჯების შემცირებას, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას შეძენილი პირის „ჯგუფის“ არსებულ საქმიანობაში ინტეგრირების გზით. არცერთი აღიარებული გუდვილი არ გამოიქვეთება მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

შპს „ვიტელ ჯორჯიას“ არ განუხორციელებია მატერიალური წმინდა შემოსავლის ან მოგების კონტრიბუცია „ჯგუფში“ 2015 წლის 31 დეკემბერს განხორციელებული შეძენის შემდეგ. შეძენა რომ მომხდარიყო 2015 წლის 1 იანვარს, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ შესაბამისი წლის კონსოლიდირებული შემოსავალი და კონსოლიდირებული მოგება არ უნდა შეცვლილიყო 1%-ზე მეტით. ხელმძღვანელობის ვარაუდი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ნასყიდობის დღეს დადგენილი სამართლიანი ღირებულება არ განსხვავდება წლის დასაწყისში არსებული სამართლიანი ღირებულებებისგან.

(iii) არაკონტროლირებადი წილის შეძენა

2016 წლის 20 დეკემბერს, „ჯგუფმა“ შეიძინა დამატებითი 15%-იანი წილი შპს „საქართველოს მედია ქსელში“, რითაც მისი საკუთრება გაზარდა 100%-მდე. იმავე დღეს, „ჯგუფმა“ შეირწყა შპს „საქართველოს მედია ქსელი“. სხვაობა შპს „საქართველოს მედია ქსელის“ უარყოფით წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას (338 ათასი ლარის ოდენობით შეძენის დღეს) და 15%-იანი წილის საფასურს შორის (502 ათასი ლარი) „ჯგუფმა“ აღიარა პირდაპირ კაპიტალში.

21. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა შვილობილი კომპანიების იმ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის დღეს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში და „ჯგუფის“ ყველა ერთეულის მიერ.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი**(i) საწარმოთა გაერთიანება**

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი გადაეცემა „ჯგუფს“.

„ჯგუფი“ გუდვილს აღრიცხავს შეძენის თარიღისთვის როგორც:

- გადაცემული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არაკონტროლირებადი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული საწარმო წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვის მოგება აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში. ოპერაციის დანახარჯები, გარდა სესხის ან ფასიანი ქაღალდების გამოცემის, რომელიც დაკავშირებულია „ჯგუფის“ მიერ საწარმოს გაერთიანებასთან, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება მოგება-ზარალში ხდება შეძენის თარიღით. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

(ii) არაკონტროლირებადი წილი

არაკონტროლირებადი ინტერესები ფასდება შემძენის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივებში მათი პროპორციული წილით შესყიდვის დღეს. შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალში.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არაკონტროლირებადი წილის ზარალი მიკუთვნებულია არაკონტროლირებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არაკონტროლირებადი წილის უარყოფით ბალანსს.

(iv) კონსოლიდაციით აღმოფხვრილი ოპერაციები

კონსოლიდაციისას აღმოიფხვრება „ჯგუფის“ შიდა ნაშთები და ტრანზაქციები, და ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი.

(ბ) შემოსავლები

„ჯგუფის“ მიერ შემოსავლის აღიარება ხელშეკრულების საფუძველზე გაწეულ მომსახურებაზე ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის მოცულობის საიმედოდ განსაზღვრა და როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა „ჯგუფში“. შემოსავლის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით შესაბამისი გადასახადებისა და ფასდაკლებების გამოკლებით. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, მომსახურების ხასიათის მიხედვით აღიარდება კლიენტისთვის წარდგენილი მთლიანი თანხით ან „ჯგუფის“ მიერ მომსახურების გამარტივებისთვის მისაღები საკომისიოს თანხით.

„ჯგუფს“ შემდეგი ძირითადი რეგულარული შემოსავლის წყარო აქვს: ინტერნეტი და ინტერნეტ ტელევიზიის მომსახურებები, ფიქსირებული და უკაბელო ტელეფონის მომსახურებები, რომელიც ძირითადად მოიცავს კავშირს, წუთობრივ დარიცხვას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადებს, ურთიერთჩართვის მომსახურებები და ხაზების იჯარა. შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლებების, დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადის კორექტირების შემდეგ.

ურთიერთჩართვის მომსახურებები: ქსელთან დაშვებით მიღებული ურთიერთჩართვის შემოსავლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ოპერატორების მიერ "ჯგუფის" ქსელში დასრულებული ტრაფიკიდან მიიღება, გამომდინარეობს ხელშეკრულებებიდან, რომლებიც ასევე არეგულირებს "ჯგუფის" მიერ სხვა ოპერატორების ქსელით სარგებლობას. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის დროს.

ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის მომსახურებები: შემოსავლები ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის გაწევის მომსახურებიდან ძირითადად მოიცავს ინტერნეტ კავშირისა და IPTV მომსახურებებით სარგებლობის ყოველთვიურ გადასახადს და მისი აღიარება ხდება მომსახურების გაწევის მომენტში.

ფიქსირებული და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები: წუთობრივი მომსახურების და მიერთების ღირებულება შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის დროს, გამოყენებული წუთებისა და ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურების საფუძველზე. ყოველი თვის ბოლოს აბონენტათვის დაურიცხავი მაგრამ უკვე გაწეული მომსახურება აღიარდება შემოსავლად, ხოლო დარიცხული მაგრამ გაუწეველი მომსახურების შემოსავალი დროში გადავადდება. ყოველთვიური სააბონენტო საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის თვეში.

ინფრასტრუქტურის იჯარა: ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლები მოიცავს „ჯგუფის“ საკაბელო ქსელის გამოყენებით დარიცხულ ყოველთვიურ ფიქსირებულ საფასურს. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

(გ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

„ჯგუფის“ ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტით გამოწვეულ საკურსო შემოსავალს ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მისი მოგებაში ან ზარალში დარიცხვისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის ხარჯი, რომლის პირდაპირი მიკუთვნება შეუძლებელია კვალიფიცირებადი აქტივის შეძენის, აგების ან წარმოების დანახარჯისათვის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტით გამოწვეული საკურსო შემოსავლის და ზარალის აღრიცხვა ხდება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსავალი ან წმინდა ხარჯი.

(დ) ოპერაციები უცხოური ვალუტიდან

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ ობიექტების შესაბამის მოქმედ ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „ჯგუფში“ მოქმედ ფულად ერთეულში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით იზომებიან, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც იზომება ისტორიული ფასის საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც აღიარდება სხვა ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან

მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლების გაუნაწილებელი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში, მიმდინარე გადასახადზე ვრცელდება საგადასახადო ჩათვლა.

გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული პირები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, არ წარმოიშობა გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

(ვ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შექმნაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. მიწა ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. თვითწარმოებული აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯის ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის პროცენტის კაპიტალიზაციას, აქტივის დემონტაჟის და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითად საშუალებაზე.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება აისახება ბალანსზე, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას „ჯგუფში“ და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-პატრონობის ყოველდღიური ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებასა ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა მათი მონტაჟისა და მზა მდგომარეობამდე მიყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივებს, მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ის საუკეთესოდ ასახავს აქტივთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 25-50 წელი
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- ავტომობილები, ავეჯი და სხვა მოწყობილობები 3-5 წელი

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(თ) არამატერიალური აქტივები**(i) გუდვილი**

შვილობილი კომპანიების შეძენიდან წარმოქმნილი გუდვილი აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თანხით.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

„ჯგუფის“ მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებიც სასარგებლო მომსახურების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს და კაპიტალიზებად სამაუწყებლო უფლებებს.

(iii) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შიგნით გამოშვებული გუდვილი და ბრენდები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია ითვლება აქტივის თვითღირებულებიდან და ერიცხებათ არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა. ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ეს ყველაზე მიახლოებულად ასახავს აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ხარჯს. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა არამატერიალური აქტივებისთვის მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის მერყეობს 3-დან 10 წლამდე.

ამორტიზაციის მეთოდი, სასარგებლო მომსახურების ვადა და ნარჩენი ღირებულება გადახედვას ექვემდებარება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(ო) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს გაცემულ სესხებს და მოთხოვნებს, ფულს და მის ეკვივალენტებს, აღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღიარება და ჩამოწერა

„ჯგუფი“ მოთხოვნებს და დეპოზიტებს აღიარებს მათი წარმოქმნისთანავე. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივის აღიარება ხდება გარიგების თარიღით, როდესაც „ჯგუფი“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის მხარე.

„ჯგუფი“ ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც კონტრაქტის უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და მფლობელობის უფლებასთან ერთად. თუ გადაცემულ აქტივში „ჯგუფი“

რაიმე მექანიზმით ინარჩუნებს თანასაკუთრებას, ხდება ამ აქტივის თუ ვალდებულების ცალკეული აღიარება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა და წმინდა ღირებულებით ჩვენება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს გაქვითვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯების ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ მისაღები სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ანაბარი შეზღუდული სარგებლობის უფლებით, ფული და მისი ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაშთებს ბანკებში შექმნილ დღიდან სამთვიანი ან ნაკლები გადახდის ვადით, რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოდ დაბალია.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

„ჯგუფი“ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. „ჯგუფი“ ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას, მათ გაუქმებას ან ვადის გასვლას.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(iii) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონის გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები ამცირებს კაპიტალს, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

(ვ) გაუფასურება**(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები**

ანგარიშგების მომზადების ყოველი თარიღისათვის ხდება ფინანსური აქტივების ღირებულების გადახედვა იმის მიხედვით, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თავდაპირველი აღიარების შემდგომ რაიმე მოვლენამ უარყოფითი გავლენა იქონია აქტივისგან მისაღებ ფულად ნაკადებზე და ის საიმედოდ განსაზღვრადია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- „ჯგუფის“ მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა და ისეთი პირობით, რომელიც სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა „ჯგუფისთვის“ მისაღები;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც გადაუხდელობას იწვევს.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

„ჯგუფი“ ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ ასევე კოლექტიურ, აგრეგირებულ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივი ინდივიდუალურად მოწმდება გაუფასურებაზე. ისეთი აქტივები, რომლებიც დამოუკიდებლად არ ამჟღავნებენ გაუფასურების ნიშნებს, მოწმდებიან ჯგუფურად დამდგარი მაგრამ ჯერ არაიდენტიფიცირებული შესაძლო გაუფასურების დასადგენად. ის აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან აქტივებს, ფასდებიან კოლექტიურად, საერთო სარისკო მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასების დროს, „ჯგუფი“ იყენებს წინა წლების გამოცდილებას საექვო ვალებთან, მათი ამოღების დროსთან და დანაკარგებთან დაკავშირებით. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრებებით, კერძოდ იმის მიხედვით თუ როგორია მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა და რამდენად რეალურია რომ ზარალი ისტორიულ მონაცემებით შეფასებულ რაოდენობაზე მეტი ან ნაკლები იქნება.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დადისკონტირებული აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც „ჯგუფი“ მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. თუ ჩამოფასების შემდგომი მოვლენები ზრდის აქტივის ამოღებადობის ალბათობას, გაუფასურების ზარალი მცირდება და სხვაობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე საპირისპირო ნიშნით აღიარდება.

(ii) არაფინანსური აქტივები

„ჯგუფის“ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გუდვილის ანაზღაურებადი თანხა ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების იმ უმცირეს ჯგუფებად, რომლებთაც შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად უზრუნველყონ „ჯგუფში“ ფულადი ნაკადების შემოდინება (CGU). „ჯგუფის“ კორპორატიული აქტივები არ ახდენენ დამოუკიდებლად ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები გადანაწილდება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ ფარგლებში და მოწმდება გაუფასურებაზე, როგორც ამ ერთეულის ნაწილი. საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი გუდვილი ნაწილდება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ იმ ჯგუფებზე, რომელთაგანაც ერთობლივი საწარმო ყველაზე დიდ სარგებელს ელოდება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მისი გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება გადასახადების გადახდამდე დისკონტის იმ განაკვეთით, რომელიც თავის თავში ასახავს ფულის დროში ღირებულებას და ჯგუფისთვის მახასიათებელ რისკს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად თანხას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის უწყისში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი პროპორციულად ამცირებს მასში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებას.

გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი არ ექვემდებარება უკუგატარებას. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იცვლება ის დაშვება, რომლის საფუძველზეც მოხდა გუდვილის გაუფასურება. გაუფასურების ზარალის შემცირების ხარჯზე, აქტივის ღირებულება ვერ გაიზრდება იმაზე მეტად ვიდრე მისი წმინდა საბალანსო ღირებულება იქნებოდა აქტივის გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(ლ) კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები

„ჯგუფი“ მიიჩნევს, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები, რომლის მხარეც გახდა „ჯგუფი“ სხვა პირების დავალიანების გარანტირების მიზნით, წარმოადგენენ სადაზღვევო გარიგებებს. ამასთან დაკავშირებით, „ჯგუფი“ საგარანტიო ხელშეკრულებას აღრიცხავს, როგორც პირობით ვალდებულებას იმ დრომდე, სანამ „ჯგუფისგან“ საგარანტიო თანხების გადინება სავარაუდო გახდება.

(მ) იჯარები

(i) განსაზღვრა გარიგება მოიცავს თუ არა იჯარას

გარიგების დაწყებისას, „ჯგუფი“ განსაზღვრავს ამგვარი გარიგება არის თუ არა ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, გარიგების განხორციელება დამოკიდებულია თუ არა

კონკრეტული აქტივის გამოყენებაზე და გარიგება გადასცემს თუ არა აქტივის გამოყენების უფლებას სხვა მხარეს.

გარიგებები გამოყენების ხელშეუვალ უფლებაზე (IRU) არ კლასიფიცირდება იჯარად. 20-წლიანი მოქმედების ვადის მქონე კონტრაქტებში, სადაც ქსელის ტექნიკური მომსახურების ვალდებულება და აქტივის უკუგებასთან დაკავშირებული რისკი რჩება „ჯგუფზე“, „ჯგუფი“ გადაავადებს მიღებულ საავანსო თანხას და წრფივად აღიარებს მოგებაში ან ზარალში კონტრაქტის ვადის განმავლობაში.

(ii) იჯარით მიღებული აქტივები

აქტივები, რომლებსაც „ჯგუფი“ ფლობს იჯარის საფუძველზე და რომლითაც მასზე გადადის არსებითად ყველა რისკი და საკუთრების უფლება, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. სხვა ყველა იჯარა საოპერაციო იჯარაა და შესაბამისად, იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პერიოდის განმავლობაში.

(b) სეგმენტური ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი წარმოადგენს „ჯგუფის“ კომპონენტს, რომელიც ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია შემოსავლის მიღება და ხარჯების გაწევა (მათ შორის შემოსავლის და ხარჯების, რომლებიც უკავშირდება იმავე „ჯგუფის“ სხვა კომპონენტებთან ოპერაციებს); რომლის სამუშაო შედეგები რეგულარულად განიხილება და გადაიხედება საოპერაციო გადაწყვეტილების კუთხით და რომელზეც განცალკევებული ფინანსური ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს „ჯგუფის“ საოპერაციო საქმიანობაზე. „ჯგუფი“ გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ათვისებას მისი ძალაში შესვლისთანავე.

- 2014 წლის ივლისს გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. „ჯგუფი“ აფასებს ფასს 9 გამოყენების პოტენციურ გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფაისკ 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ უამრავ ელემენტებს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. „ჯგუფი“ აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხვავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). „ჯგუფი“ აფასებს ფასს 16-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ინფორმაციის წარდგენის ინიციატივა (ბასს 7-ის ცვლილება) საჭიროებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასოს ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში ცვლილებები, მათ შორის ცვლილებები ფულად და არაფულად მუხლებში. ცვლილებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვადაზე ადრე მიღების უფლებით. ინფორმაციის წარდგენის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, „ჯგუფს“ სურვილი აქვს წარმოადგინოს მოძრაობა საწყის და საბოლოო ბალანსებს შორის იმ ვალდებულებებისთვის, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე.

24. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2017 წელს გრძელვადიანი უზრუნველყოფილი საბანკო სესხების ვადა გაგრძელდა 2024 წლამდე.

2017 წელს „ჯგუფმა“ 2027 წლამდე გააგრძელა F53 2,300 MHz - 2,350 MHz რადიო სიხშირის სპექტრის ლიცენზია, რომელიც გამოიყენება LTE (4G) მომსახურების გაწევისთვის. ლიცენზიის გაგრძელების ღირებულებამ შეადგენა 589 ათასი ლარი.